

პლენუმის შემადგენლობა:

რევაზ ნადარაია – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

ვასილ როინიშვილი – წევრი;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

სხდომის მდივანი: დარეჯან ჩალიგავა.

საქმის დასახელება: თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 23 ოქტომბერს კონსტიტუციური წარდგინებით (რეგისტრაციის №1846) მომართა თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ (მოსამართლე – ბადრი ნიპარიშვილი). №1846 კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, გადმოეცა 2024 წლის 25 ოქტომბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №3/4/1846 საოქმო ჩანაწერით, კონსტიტუციური წარდგინება მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.



2. №1846 კონსტიტუციურ წარდგინებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების თანახმად, „სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება“. აღნიშნული ნორმა, მათ შორის, ზღუდავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის ალების შესახებ სასამართლო განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების უფლებას. წარდგინების ავტორის პოზიციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს ამავე კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის ალების შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლებას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

4. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებულია სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანად და დროულად განხილვის კონსტიტუციური უფლება.

5. №1846 კონსტიტუციური წარდგინებიდან ირკვევა, რომ პირის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საჭირო გახდა, შემთხვევის ადგილიდან მიმალული ერთ-ერთი ბრალდებულის დისგან ნერწყვის ნიმუშის აღება. ხსენებულმა პირმა უარი განაცხადა მისგან ნებაყოფლობით ნიმუშის აღებაზე. შესაბამისად, სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების მიზნით, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს პირისაგან ნერწყვის ნიმუშის ალების თაობაზე ნებართვის გაცემის მოთხოვნით.

6. კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ნიმუშის აღება, რომელიც არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, დასაშვებია იმ პირის თანხმობით, რომლისგანაც ნიმუში უნდა იქნეს აღებული. თუ პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის ალების შესახებ, ნიმუშის აღება ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს განჩინებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად, ნიმუშის ალებისათვის სასამართლოს განჩინება გამოიტანება ამ კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, ხოლო დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადება პირს, რომლისგანაც უნდა მოხდეს ნიმუშის აღება, უზღუდავს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლებას.

7. №1846 კონსტიტუციური წარდგინების ავტორის არგუმენტაციით, პირი, რომელთან მიმართებითაც ბრალდების მხარე ითხოვს საპროცესო იძულების ღონისძიების განხორციელებაზე – ნიმუშის აღებაზე ნებართვის გაცემას, არ არის დაკავშირებული მიმდინარე გამოძიებასთან. მისი კავშირი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ იგი არის ბრალდებულის და. პროკურატურის მოტივაციას, ბრალდებულის დისგან ნერწყვის ნიმუშის აღებასთან დაკავშირებით, წარმოადგენს ბრალდებულის მიმართ უფრო მყარი მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირს არ გააჩნია საპროცესო შესაძლებლობა, იდავოს მის მიმართ იმ იძულების ღონისძიების ჩატარების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ჩარევას მის პირად სფეროში და, ამავდროულად, შესაძლოა, იწვევდეს მისი ახლო ნათესავის ინკრიმინაციას. ამასთანავე, მის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის წინააღმდეგობის გაწევა, შესაძლებელია, მიჩნეულ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობად, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს.

8. წარდგინების ავტორის მითითებით, გასაჩივრების უფლების არქონის პირობებში, პირი, რომლის მიმართაც გაიცემა ნიმუშის იძულებით ალების ნებართვა, ავტომატურად და მუდმივად რჩება აღნიშნული ღონისძიების გაპროტესტების უფლების გარეშე. იგი ვერ შეიძენს სისხლის სამართლის პროცესში მხარის უფლებებს, რომელსაც საშუალება ექნება, სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე ეტაპზე მაინც იდავოს ჩატარებული საპროცესო მოქმედების კანონიერებასთან დაკავშირებით.

9. ყოველივე აღნიშნულის ფონზე, წარდგინების ავტორს მიაჩნია, რომ ნიმუშის აღება ბრალდებულის



ახლო ნათესავისაგან, რომელსაც საქმესთან არ აქვს რაიმე კავშირი, ინტენსიურად ზღუდავს და მაღალი რისკის ქვეშ აყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებიდან და თვითინკრიმინაციის პრივილეგიიდან მომდინარე ინტერესებს. შესაბამისად, წარდგინების ავტორის მოსაზრებით, ნიმუშის აღების შუამდგომლობის განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო განჩინების გასაჩივრების უფლების სრული შეზღუდვა არის არაპროპორციული.

10. №1846 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სფერო

1. კონსტიტუციური წარდგინების ავტორი სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად, სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა, არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თავის თავში, არაერთ უფლებრივ კომპონენტს აერთიანებს და გულისხმობს არა მხოლოდ პირის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, არამედ, სახელმწიფოს მხრიდან, იმგვარი ნორმატიული წესრიგის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას.

4. ამ კუთხით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს უფლების დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სისტემის ზემდგომ ინსტანციაში. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს საერთო სასამართლოების სისტემის თითოეულ რგოლზე წდომის შესაძლებლობას, მათ შორის, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7, 9).

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ასრულებს პრევენციულ ფუნქციას და, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების



შესაძლებლობას. ამასთანავე, გასაჩივრების უფლების სრულყოფილი რეალიზაცია ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-8).

6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების განხორციელებისას ვერ გამოირიცხება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღების საფრთხეები. სწორედ ამ საფრთხეების თავიდან აცილებას ემსახურება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, ნორმა, რომელიც ზღუდავს იმ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, რომელიც შეიცავს პირის უფლების შესაძლო დარღვევის რისკებს, წარმოადგენს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებაში (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-12).

7. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიებით აღჭურვა ემსახურება მისი უფლებების ადეკვატური, ეფექტიანი და საკმარისი საპროცესო მექანიზმებით დაცვის უზრუნველყოფას. არც ერთი საპროცესო მექანიზმი არ უნდა იქნეს განხილული როგორც თვითმიზანი. ნებისმიერი გარანტია ემსახურება უფლების დარღვევის საფრთხის აღკვეთასა და უფლებებში აღდგენას. მაშასადამე, არც სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება წარმოადგენს თვითმიზანს. იგი ემსახურება პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ადეკვატურ დაცვას გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების გზით. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე, რამდენად მნიშვნელოვანია და რა როლს ასრულებს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრება უფლების ეფექტურად დაცვის თვალსაზრისით.

2. სადავო ნორმის შინაარსის, შესაფასებელი მოცემულობისა და უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება

8. №1846 კონსტიტუციურ წარდგინებაში სადავოდ გამხდარი ნორმის თანახმად, „სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება“. აღნიშნული ნორმა, ზღუდავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის ალების შესახებ სასამართლო განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას. წარდგინების ავტორის პოზიციით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც არ ითვალისწინებს ამავე კოდექსის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნიმუშის ალების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლებას, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, აიღოს ადამიანის, გვამის, ცხოველის, ნივთიერების, საგნის ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის თვისებების ამსახველი ნიმუში. სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის ალების შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად, ნიმუშის ალებისათვის სასამართლოს განჩინება გამოიტანება ამავე კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით. აღნიშნული ნორმის მიხედვით, „თუ მხარე ნებაყოფლობით ვერ იღებს, იგი უფლებამოსილია საექსპერტო კვლევის ობიექტის ექსპერტისათვის გადაცემის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს გამოძიების ადგილის მიხედვით. შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 48 საათისა. შუამდგომლობის განხილვის დრო და ადგილი ეცნობება მხარეებს. შუამდგომლობის ავტორის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შუამდგომლობა არ განიხილება. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს განჩინება არ გასაჩივრდება“.



10. ამდენად, აშკარაა, რომ სადავო ნორმა ნამდვილად გამორიცხავს ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

11. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმას როგორც სუბიექტების, ისე სამართლებრივი ურთიერთობების დაფარვის თვალსაზრისით, ფართო ნორმატიული შინაარსი გააჩნია. კერძოდ, იგი ადგენს სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებისა და სხვადასხვა სახის ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ზოგად აკრძალვას. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს კონსტიტუციურ წარდგინებაში დაყენებული მოთხოვნის იდენტიფიცირებას.

12. ამ კუთხით გასათვალისწინებელია, რომ საქმე, რომლის ფარგლებშიც მოსამართლემ წარდგინებით მომართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, შეეხებოდა ნერწყვის ნიმუშის აღებას ბრალდებულის ბიოლოგიური დისგან. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ბრალდებულის მიმალვის პირობებში, ბრალდების მხარეს ბიოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, მოეხერხებინა გამოძიების შედეგად, დაზარალებულის ტანსაცმელსა და დანაშაულთან შემხებლობაში მყოფ სხვა ნივთიერ მტკიცებულებებზე აღმოჩენილი სხვადასხვა ლაქის ნიმუშების ბრალდებულის დნმ-თან დაკავშირება. ბრალდებულის დას, ჩადენილ დანაშაულთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა, რის გამოც იგი არ იყო და, გონივრული დაშვებით, ვერც მომავალში გახდებოდა სისხლის სამართლის პროცესის მხარე და, სწორედ ამიტომ, ამ პროცესის ვერც ერთ სტადიაზე ვერ შეძლებდა მის მიმართ განხორციელებული იძულებითი ღონისძიების კანონიერების ეჭვქვეშ დაყენებას. სწორედ ამ შემთხვევის ირგვლივ ავითარებს მსჯელობას №1846 კონსტიტუციური წარდგინების ავტორი და ასაბუთებს სადავო ნორმის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობის შესაძლო არაკონსტიტუციურობას.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი წარდგინების ფარგლებში შესაფასებელ მოცემულობას წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ნიმუშის აღების შესახებ მიღებული განჩინების იმ პირის მიერ სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეუძლებლობა, რომელსაც არ გააჩნია ბრალდებულის სტატუსი.

14. წინამდებარე წარდგინებაში განსახილველი საკითხი არ მიემართება ნიმუშის აღების შესახებ განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას მაშინ, როდესაც ნიმუშის აღება ხორციელდება არა ადამიანის ორგანიზმიდან, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი სხვა ობიექტებიდან, გადაუდებელი აუცილებლობის დროს ან/და უშუალოდ ბრალდებულის სტატუსის მქონე პირისაგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში, შესაფასებელი მოცემულობა და შეფასების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ასეთ პირობებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს სადავო ნორმის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომლის ირგვლივაც კონსტიტუციურ სარჩელში/წარდგინებაში მსჯელობა და არგუმენტაცია არ არის განვითარებული და რომლის პრობლემურობაზეც არ არის სათანადო ყურადღება გამახვილებული. შესაფასებელ მოცემულობასთან მიმართებით, ასევე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კონსტიტუციური წარდგინების ფარგლებში გადასაწყვეტ საკითხს არ წარმოადგენს იმის დადგენა, ზოგადად, რამდენად კონსტიტუციურია ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღების ბლანკეტური დაშვება.

15. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლიანი სასამართლოს უფლების ისეთი გარანტიით პირის აღჭურვა, როგორიცაა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრება ემსახურება პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ადეკვატურ და ეფექტიან დაცვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირების ეტაპზე, მნიშვნელოვანია იმის განხილვა, რა ტიპისა და ინტენსივობის გავლენა შეიძლება მოახდინოს ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებამ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე და რა სამართლებრივი მექანიზმებით შეუძლია ამ პირს საკუთარი უფლებების დაცვა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საფუძველზე შესაძლო გაუმართლებელი



16. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ადამიანის ორგანიზმიდან ნიმუშის აღება, მიუხედავად იმისა, იწვევს თუ არა იგი ძლიერი ტკივილის შეგრძნებას, სასამართლოს წინასწარი განჩინების საფუძველზე ხდება მაშინ, როდესაც არ არსებობს პირის გამოხატული თანხმობა მისგან ნიმუშის აღების თაობაზე, კერძოდ, როდესაც პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არა აქვს, გამოხატოს ნება მისგან ნიმუშის აღების შესახებ და, ამასთანავე, სახეზე არ არის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა.

17. სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში არ არის სახელდებით და ამომწურავად განსაზღვრული ნიმუშის სახეები, რომელთა აღებაც შესაძლოა, განხორციელდეს ადამიანისაგან. წინამდებარე საქმის ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას ნიმუშის აღების ყველა სახის ამომწურავად განსაზღვრის საჭიროების წინაშე. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ადამიანისგან ნიმუშის აღებაში მოიაზრება ადამიანის ბიოლოგიური მასალის, მაგალითად, სისხლის, ნერწყვის, ნაცხის, აგრეთვე სუნის, ხელის კვლების, სხეულის ქსოვილის და სხვა სახის ნიმუშების აღება.

18. „დნმ-ის მონაცემთა ბაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბიოლოგიური ნიმუში არის ადამიანის (ფიზიკური პირის) ან გვამის ქსოვილის ან ორგანოს ნაწილი ან/და ორგანიზმის გამონაყოფი/სითხე, რომლის უჯრედები შეიცავს დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ).

19. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემების ცნებები. კერძოდ, ბიომეტრიული მონაცემი არის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორიცაა, მაგალითად: სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა. გენეტიკური მონაცემი კი წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის შეძენილ ან მემკვიდრეობით მიღებულ გენეტიკურ მახასიათებელს, რომელიც ბიოლოგიური მასალის ანალიზით, მისი ფიზიოლოგიის ან ჯანმრთელობის შესახებ უნიკალურ ინფორმაციას იძლევა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ფიზიკური პირის უნიკალური იდენტიფიცირების მიზნით მუშავდება, მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს.

20. მაშასადამე, ცხადია, რომ ადამიანისაგან ნიმუშის აღებით საგამომიებო ორგანოებს ეძლევათ წვდომა ადამიანის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებზე, რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს ადამიანის პრივატულ სივრცეში, მის პირად სფეროში ჩარევას. ამავდროულად, ისიც აშკარაა, რომ სხვადასხვა სახის ნიმუშის აღება, ნიმუშის აღების ფორმისა და აღებული ნიმუშით დადგენადი ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლოა, ადამიანის პრივატულ სივრცეში განსხვავებული ხარისხის ჩარევას იწვევდეს. მაგალითად, სისხლის ნიმუშის აღება გულისხმობს, ადამიანის ორგანიზმში სამედიცინო ხასიათის ჩარევას და აღნიშნული ნიმუშით, პიროვნების შესახებ ბევრად უფრო ყოვლისმომცველი და სენსიტიური ხასიათის ინფორმაციის გაგებაა შესაძლებელი, ვიდრე ხელის კვლების ნიმუშის აღების შემთხვევაში, რომელიც ინვაზიურობის ნაკლები ხარისხით გამოირჩევა.

21. ადამიანის პრივატულ სფეროში ჩარევის ინტენსიურობის დადგენისას გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ნიმუშის აღება და პირის შესაბამისი მონაცემების დამუშავება ხდება საგამომიებო მიზნებისთვის. ამასთანავე, კანონმდებლობა შეიცავს ზოგად მოწესრიგებას, რადგან დასაშვებად მიიჩნევენ ყველა სახის ან/და სიმძიმის დანაშაულის არსებობისას ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისგან ნიმუშის აღებას. თავად იმ გარემოების ცოდნას, რომ საგამომიებო ორგანოები ახდენენ პირის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ამ პირისათვის, როგორც ფსიქო-ემოციურად, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, შესაძლოა, ჰქონდეს კონკრეტული დამაზიანებელი შედეგები/ეფექტები.

22. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია წინამდებარე საქმეში გამოკვეთილ პირთა სტატუსიც, რომელთაგანაც ხდება ნიმუშის აღება. კერძოდ, პირს, რომელსაც ბრალდებულის სტატუსი არ აქვს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში, გააჩნია განსაკუთრებით მყარი ლეგიტიმური მოლოდინი



იმისა, რომ მისი პრივატული სივრცე, ფიზიკური მთლიანობა მაქსიმალურად იქნება დაცული სახელმწიფოს ჩარევისაგან.

23. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საპროცესო მოქმედებების ფარგლებში, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღება, მისი გაცხადებული თანხმობის გარეშე, წარმოადგენს ამ პირის პრივატულ სივრცეში ინტენსიურ ჩარევას, რის გამოც, ობიექტურად მაღალია მისი ინტერესი, ჰქონდეს წვდომა უფლების დაცვის ადეკვატურ და ეფექტიან გარანტიებზე.

24. რელევანტური საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს საპროცესო მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირი, ვისგანაც ხდება ნიმუშის აღება, ეფექტიანად და სრულყოფილად დაიცავდა თავს უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვისაგან, მათ შორის, ექნებოდა სამართლებრივი რეაგირების ბერკეტი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაში. ამ მხრივ, მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ის მოცემულობა, რომ პირს, რომლის მიმართაც ტარდება ნიმუშის აღების პროცედურა, არ გააჩნია ბრალდებულის სტატუსი და შესაძლოა, ვერც ვერასოდეს გახდეს პროცესის მონაწილე მხარე, რაც, როგორც წარდგინების ავტორი შენიშნავს, ართმევს მას შესაძლებლობას, ობიექტური დამკვირვებლის წინაშე სათანადოდ გადაამოწმოს ნიმუშის აღების თაობაზე მის მიმართ გამოცემული განჩინების კანონიერება.

25. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა, რომელიც კრძალავს ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის მიმართ ნიმუშის აღების შესახებ განჩინების გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში, წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული გასაჩივრების უფლების შეზღუდვას და მოითხოვს მკაცრ კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას.

3. უფლების შეზღუდვის გამართლება, შეფასების ტესტი

26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირველი ინსტანციის სასამართლოს აქტის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლება, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის აბსოლუტური ხასიათის და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №1/2/1731 გადაწყვეტილება საქმეზე „ქეთი ანდროსენკო და ალექსანდრე ანდროსენკო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18).

27. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასება ხდება თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაღებ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

3.1. ლეგიტიმური მიზანი

28. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, თანაზომიერების პრინციპის უპირველესი მოთხოვნაა, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ღონისძიება ემსახურებოდეს ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. სასამართლოს განმარტებით, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).



29. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით, არაერთი საქმე აქვს განხილული და გადაწყვეტილი (იხ., მაგ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №1/2/1731 გადაწყვეტილება საქმეზე „ქეთი ანდროსენკო და ალექსანდრე ანდროსენკო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის №2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

30. აღნიშნული გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ზოგიერთი კატეგორიის გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების აკრძალვა, როგორც წესი, ემსახურება პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილების ლეგიტიმურ მიზნებს. დასახელებულ გადაწყვეტილებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილია, რომ სასამართლოს გადატვირთვის პრევენცია და პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნებია, რომელთა მისაღწევად შეიძლება, შეიზღუდოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება.

31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პროცესის ეკონომიურობა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვის თავიდან აცილება უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. მაშასადამე, სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიძლება შეიზღუდოს ზემოაღნიშნული ლეგიტიმური მიზნებით. თუმცა ჩარევის თანაზომიერების შეფასებისთვის მხედველობაშია მისაღები როგორც ჩარევის ინტენსივობა, ისე იმ უფლებისა თუ სამართლებრივი ინტერესის მნიშვნელობა, რომლის დაცვის შესაძლებლობაც არის შეზღუდული“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-69).

32. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზნები რელევანტურია წინამდებარე საქმეში გასაჩივრებულ დებულებასთან მიმართებითაც, რომელიც კრძალავს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმის კონსტიტუციურობას, თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით.

3.2. გამოსადეგობა და აუცილებლობა

34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ლეგიტიმური მიზნის არსებობა, თავისთავადად, არ არის საკმარისი უფლებამწიფედღებული რეგულაციის კონსტიტუციურად მიჩნევისათვის. იმისთვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპთან შესაბამისად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს.

35. ამა თუ იმ ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი „დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48).

36. იმავდროულად, „გამოსადეგობასთან ერთად, შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს



შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). საჭიროა, არ არსებობდეს სხვა, ნაკლებად შემზღუდველი საშუალებით, დასახელებული ლეგიტიმური მიზნის იმავე ეფექტიანობით მიღწევის გონივრული შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ღონისძიება იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ობიექტურად აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის რეალიზაციისათვის, რაც თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა.

37. მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნორმა ზღუდავს, მათ შორის, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, უკვე დადგენილია, რომ სადავო ნორმის მსგავსი ტიპის ამკრძალავი რეგულირება წარმოადგენს პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისაგან დაცვის ლეგიტიმური მიზნების მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას (იხ., *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 13 აპრილის №2/2/1506 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან დარსალია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

38. კერძოდ, ნორმა, რომელიც სრულად კრძალავს ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, ცხადია, რომ, თავისთავად, ამცირებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა რაოდენობას და ხელს უწყობს სასამართლოს განტვირთვას. ამასთან ერთად, განსახილველ საქმეთა შემცირებით, მართლმსაჯულების განხორციელება მოითხოვს ნაკლებ დროს, აგრეთვე, ნაკლებ ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსს. შედეგად, სადავო ნორმა აგრეთვე ემსახურება პროცესის ეკონომიურობის ლეგიტიმური მიზნის რეალიზებას. ამავდროულად, არ არსებობს უფლების ნაკლებად მზღუდავი რომელიმე ალტერნატიული სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც იმავე ეფექტიანობით უზრუნველყოფდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევას.

39. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიჩნევს, რომ სადავო რეგულირება აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობისა და აუცილებლობის მოთხოვნებს.

3.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

40. ვინაიდან სადავო ნორმით დადგენილი უფლების შემზღუდველი მექანიზმი, პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს ხელოვნური გადატვირთვისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზნებთან მიმართებით, აკმაყოფილებს თანაზომიერების პრინციპის გამოსადეგობისა და აუცილებლობის კრიტერიუმებს, უფლებამშემზღუდველი ნორმატიული წესის კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისად მიჩნევისათვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური დაცვის გადაწყვეტის მოცემულ ეტაპზე უნდა გამოარკვიოს, სადავო ნორმით დადგენილი რეგულირების ფარგლებში დაცული ინტერესი, საკუთარი მნიშვნელობით, აღემატება თუ არა შეზღუდულ ინტერესს. შესაბამისად, ამ ეტაპზე უნდა შეფასდეს, რამდენადაა დაცული პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*), რომელიც მოითხოვს, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43).

41. მოცემულ შემთხვევაში პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლო სისტემის გადატვირთულობისაგან დაცვის ლეგიტიმურ ინტერესებს უპირისპირდება ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის მიერ ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი.

42. წინამდებარე გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე აღნიშნა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლო სისტემის ხელოვნური გადატვირთულობისაგან დაცვის ლეგიტიმურ მიზნებს, დროული და ეფექტიანი მართლმსაჯულების



უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს გადატვირთულობა წარმოშობს მნიშვნელოვან პრობლემებს, რამდენადაც, ერთი მხრივ, იწვევს საქმეების განხილვის პროცესის დაყოვნებას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოს აფერხებს მის განხილვაში არსებული საქმეების სრულყოფილად და ყოველმხრივ გამოკვლევაში. პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნები პირდაპირ კავშირშია მართლმსაჯულების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასთან. ხსენებული ლეგიტიმური მიზნების დაცვა ემსახურება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით სარგებლობისათვის სათანადო სივრცის შექმნას. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ყველა საქმეზე სააპელაციო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობის არსებობა, მნიშვნელოვნად გააუარესებს ზემდგომი სასამართლოების საქმიანობის ეფექტიანობას. ამიტომ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება, თავისთავად, ვერ გადაწონის პროცესის ეკონომიურობისა და სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვის ლეგიტიმურ ინტერესს. კანონმდებელი უფლებამოსილია, შეზღუდოს სასამართლოს გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა, თუ პირს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადამოწმების განსაკუთრებული ინტერესი არ გააჩნია (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 7 მარტის №1/2/1731 გადაწყვეტილება საქმეზე „ქეთი ანდროსენკო და ალექსანდრე ანდროსენკო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მაღანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14, 24).

43. ამგვარად, დაპირისპირებულ სიკეთეთა შორის სამართლიანი ბალანსის დადგენის მიზნით უნდა შემოწმდეს, რამდენად წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღების თაობაზე მიღებული განჩინება სასამართლო გადაწყვეტილების იმ კატეგორიას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის საჭიროებს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადამოწმებას. ამ კონტექსტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად მომეტებულად არსებობს, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის მხრიდან, მისი თანხმობის გარეშე ნიმუშის აღების შესახებ განჩინების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების უფლებით სარგებლობის საჭიროება და განსაზღვროს, აღნიშნული უფლების რეალიზების ინტერესი გადაწონის თუ არა სასამართლო სისტემის გადატვირთულობისაგან დაცვის ინტერესს.

44. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანისგან ნიმუშის აღება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა გზებით. კერძოდ, შესაძლოა, ნიმუშის აღება საჭიროებდეს გარკვეულ სამედიცინო ჩარევას (მაგალითად, სისხლის ნიმუშის აღება) ან არ ხასიათდებოდეს მსგავსი სიმძაფრის ინტრუზიულობით (მაგალითად, ხელის კვლების ნიმუშის აღება). როგორც წესი, ნიმუშის აღება პროცედურულად არ მოითხოვს დიდ დროს და არ არის საფრთხის შემცველი ჯანმრთელობისათვის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ნიმუშის აღების დროს ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის რისკებიც არ გამოირიცხება. ზოგიერთი ტიპის ნიმუშის აღება შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ხანგრძლივ სამედიცინო პროცედურასთან (მაგალითად, კონკრეტული ორგანოს ქსოვილის ნიმუშის აღება) ან/და განსაკუთრებით არასასიამოვნო და ტრავმულ შეგრძნებებთან (მაგალითად, სასქესო ორგანოდან ნაცხის ნიმუშის აღება). ამასთანავე, ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც წესი, ადამიანის ნიმუშის აღება დაკავშირებულია მისი გენეტიკური ან/და ბიომეტრიული მონაცემების შეგროვებასთან. დამატებით, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სადავო ნორმა ვრცელდება, მათ შორის, იმგვარი ნიმუშის აღებაზე, რომელიც იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას.

45. ადამიანის უნიკალური მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, მის შესახებ არსებული პირადი და ინტიმური ხასიათის ინფორმაციის სათანადო დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს პირის მიერ პირადი ცხოვრების უფლებით დაუბრკოლებელი და თავისუფალი სარგებლობისათვის. სწორედ ამიტომ, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ სახელმწიფოს მიერ პირისაგან მისი თანხმობის გარეშე ან/და ნების საწინააღმდეგოდ ნიმუშის აღება, რომელიც შეიცავს მის ბიომეტრიულ და, მით უფრო, გენეტიკურ მონაცემებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მონაცემების მოპოვება და დამუშავება ხდება საპოლიციო/საგამოძიებო მიზნებისათვის, წარმოადგენს სერიოზულ ჩარევას პირის პირად სფეროში/პრივატულ სივრცეში და მოითხოვს სათანადო გარანტიებს, რომლებიც მაქსიმალურად დააზღვევს უფლების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკებს.

46. მოცემული დავის ფარგლებში, პიროვნების პირად სივრცეში ჩარევის მაღალ ინტენსივობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ პირის სტატუსი, რომლისგანაც ხდება ნიმუშის აღება. კერძოდ,



წინამდებარე წარდგინების ფარგლებში, უფლების შეზღუდვის სუბიექტები არიან პირები, რომლებსაც არ აქვთ ბრალდებულის სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი ლეგიტიმური მოლოდინი სახელმწიფოს/საგამოძიებო ორგანოების მხრიდან პირად სივრცეში ჩაურევლობის შესახებ განსაკუთრებით მაღალია. თავის მხრივ, რაც უფრო მაღალია ადამიანის პირად სივრცეში ჩაურევლობის ლეგიტიმური მოლოდინის დაცვის ხარისხი, მით უფრო მეტად არის ვალდებული სახელმწიფო, რომ ეს პირი აღჭურვოს ამ უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევისაგან დაცვის ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიებით.

47. აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლებაში ჩარევის იმ ინტენსივობის საპირწონედ, რომელიც შესაძლოა განიცადოს ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირმა ნიმუშის აღების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გონივრულად მიიჩნევს მათ აღჭურვას უფლების დაცვის მყარი და ადეკვატური მექანიზმებით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მათი უფლებების დაუსაბუთებელი ან/და გადამეტებული შეზღუდვის რისკები.

48. იმის გასარკვევად, უნდა მოიცავდეს თუ არა ეს გარანტიები საკითხის ორი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადამოწმებას, საჭიროა, გაანალიზდეს ნიმუშის აღების საპროცესო მოქმედების განხორციელების მექანიზმი, სასამართლოს როლი ამ ღონისძიების ჩატარებაში და საკითხის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების მნიშვნელობა.

49. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ წინამდებარე დავის საგანი შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც, ერთი მხრივ, არ არსებობს ნიმუშის დაუყოვნებლივ აღების გადაუდებელი აუცილებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, პირის (გამოხატული) ნება ნიმუშის აღების შესახებ და ბრალდების მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისაგან ნიმუშის აღების თაობაზე განჩინების გამოცემის მოთხოვნით.

50. საყურადღებოა, რომ პირისაგან ნიმუშის იძულებითი აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლო სრულად თავისუფალია ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების შეფასებისას – იგი არანაირი ფორმით არ არის შეზღუდული ბრალდების მხარის შუამდგომლობით. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მოსამართლეს. ამ მოცემულობას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ნიმუშის აღების ნებართვის გაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობა საკმაოდ ფართო და ზოგადი განსაზღვრებებით ხასიათდება. კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს პირისაგან ნიმუშის აღების საერთო წესს და საფუძვლებს და არ ამახვილებს ყურადღებას იმ პირის სტატუსზე, ვისგანაც შესაძლოა მოხდეს ნიმუშის აღება. იგი ასევე დასაშვებად მიიჩნევს ნებისმიერი ტიპის ნიმუშის აღებას ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირებისაგან, დანაშაულის ხასიათისა და სიმძიმის მხედველობაში მიუღებლად.

51. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს, საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე ავალდებულებს ადამიანის უფლებების, მათ შორის, პირადი ცხოვრებისა და პრივატული სივრცის განუხრელ დაცვას და, შესაბამისად, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისაგან თავშეკავებას, რომლებიც პიროვნების უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას გამოიწვევს.

52. მაშასადამე, როდესაც მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის ნების საწინააღმდეგოდ, მისთვის ნიმუშის აღების თაობაზე, მან გადაწყვეტილების მიღებამდე, ყოველ ჯერზე, უნდა შეაფასოს სხვადასხვა მხარეს მდგომი კერძო და საჯარო ინტერესები, მათ შორის, ნიმუშის აღების რელევანტურობა და ხსენებული საპროცესო მოქმედების შედეგად მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობა, დანაშაულის ხასიათი, ნიმუშის ტიპი, ადამიანის უფლებებში ნაკლები ჩარევით, იმავე ტიპის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, პირის ინდივიდუალური მახასიათებლები (მაგალითად, ასაკი), ნიმუშის აღების გავლენა მის უფლებრივ მდგომარეობაზე და ა.შ.

53. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირისათვის ნიმუშის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, არაერთი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საკითხის საფუძვლიან შესწავლასა და გამოკვლევას მოითხოვს, ვინაიდან, თითოეული ზემოთ დასახელებული საკითხის არასათანადოდ, არასრულყოფილად ან/და შეცდომით შეფასებამ, შესაძლოა, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვა გამოიწვიოს.

54. როგორც არაერთხელ აღინიშნა, გასაჩივრების უფლების არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია



ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20). შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირებს აქვთ ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით ამ განჩინების დროული და საფუძვლიანი გადამოწმება წარმოადგენს ეფექტიან საშუალებას, მათი უფლებრივი მდგომარეობის დაცვის თვალსაზრისით.

55. ამასთანავე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ არ არსებობს სხვა რომელიმე საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც აღნიშნულზე სრულყოფილად და ეფექტიანად შეძლებდა ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირების უფლებების დაცვას/დარღვევის პრევენციას და, აქედან გამომდინარე, გამოდგებოდა განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ინსტიტუტის ჩამნაცვლებელ მექანიზმად. უფლების დაცვის ალტერნატიული მექანიზმების არასაკმარისობა/არარსებობა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე პროცესი სრულდება ისე, რომ პირი, რომლისგანაც მოხდა ნიმუშის აღება, არ ხდება პროცესის მონაწილე.

56. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ უარყოფს, რომ ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირებისათვის ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლების მინიჭება, გარკვეულწილად, გაზრდის სააპელაციო სასამართლოებში საქმეთა რაოდენობას, თუმცა, მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის სათანადო დაცვის და, აქედან გამომდინარე, მათთვის გასაჩივრების უფლების მინიჭების ინტერესი გადაჭონის პროცესის ეკონომიურობისა და სააპელაციო სასამართლოს გადატვირთულობისგან დაცვის ინტერესებს. შესაბამისად, სადავო ნორმა, რომელიც გამორიცხავს განჩინების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრებას, არღვევს გონივრულ ბალანსს პირის შეზღუდულ უფლებასა და მისაღწევ ლეგიტიმურ საჯარო მიზნებს შორის, რის გამოც ვერ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის ვიწრო პროპორციულობის მოთხოვნას.

57. ვინაიდან სადავო ნორმა ვერ პასუხობს თანაზომიერების კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს, მაშასადამე, იგი გაუმართლებლად ზღუდავს ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირის უფლებას, ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების გზით, იდავოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებაზე.

58. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირს უკრძალავს მისგან ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას, არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 27³ მუხლის მე-2 პუნქტის, 42-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის, 44-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე,



ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-8 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირს უკრძალავს მისგან ნიმუშის აღების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებას.
2. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
3. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
5. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლე ევა გოცირიძის თანმხვედრი აზრი.
6. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.
7. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

პლენუმის შემადგენლობა:

რევაზ ნადარაია

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუში

